

ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2019 წლის 15 მარტს.

სხდომადაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – თ. ჯინჯოლავა, ზ. აფაქიძე ბ. ხურცია, ზ. წურწუშია, თ. სალაყაია, შ. კოკაია, მ. შამათავა, რ. ქამადაძე, ზ. სანაია.

ასევე ესწრებოდნენ: მოქალაქე თ. ესებუა, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა-“ს წევრი გ. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე- ზ. ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე- თ. ჯინჯოლავა.

დღის წესრიგი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 22 თებერვალს შემოსული აგარაკის ქუჩაზე მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების (სარეგისტრაციო №16) განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 22 თებერვალს შემოსული აგარაკის ქუჩაზე მცხოვრებთა ერთობლივი განცხადების (სარეგისტრაციო №16) განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: თ. ჯინჯოლავა

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 22 თებერვალს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით (სარეგისტრაციო №16) მოგვმართა აგარაკის ქუჩის მაცხოვრებლებმა, რომლებიც ითხოვენ აგარაკის ქუჩის სახელის გადარქმევას და დიმა ჯაიანის სახელის მინიჭებას. აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 2019 წლის 26 თებერვალს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და საკითხი განსახილველად დაეწერა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

2019 წლის 11 მარტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა დამატებით კოლექტიური განცხადება (სარეგისტრაციო №22) რომელშიც აგარაკის ქუჩის მაცხოვრებლები ეწინააღმდეგებიან ქუჩის თავდაპირველი

სახელწოდების შეცვლას, ვინაიდან სახელის ცვლილება იწვევს დოკუმენტაციის შეცვლის აუცილებლობას რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.

2019 წლის 11 მარტს საკრებულოს განცხადებით (სარეგისტრაციო №23) მომართა აკ. ელიავას ქ.#21/24-ში მცხოვრებმა მანანა ახალაიამ. განმცხადებელი წინააღმდეგია სენაკის რომელიმე ქუჩას ეწოდოს დიმა ჯაიანის სახელი.

-2-

კომისიის სხდომაზე წევრებმა კიდევ ერთხელ იმსჯელს აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინეს მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოთქმული აზრი, რომლებმაც მკაცრად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ წინააღმდეგი არიან მოხდეს ქუჩის თავდაპირველი სახელწოდების ცვლილება.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურისკომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. არ მოხდეს ქ. სენაკში, აგარაკის ქუჩის სახელწოდების ცვლილება.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 22 თებერვალს შემოსული აგარაკის ქუჩის მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

სხდომის თავმჯდომარე:

თათია ჯინჯოლავა